საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დრამატურგია

დრამატურგია, (ბერძნ. dramaturgia), 1. რომელიმე მწერლის, ხალხის ან ეპოქის დრამატულ ნაწარმოებთა ერთობლიობა (მაგ., პ. კაკაბაძის დ., ინგლ. დ., ანტ. დ.). 2. სპექტაკლის ან კინოფილმის სიუჟეტურ-სახოვანი კონცეფცია. თეატრ. დ-ის საფუძველია *ლიტ.* დრამა , რ-ის მიხედვითაც თანამედროვე თეატრში იქმნება სარეჟისორო სცენარი. კინოხელოვნებისათვის დამახასიათებელია სცენარის ფორმის დ. 3. დრამ. ნაწარმოებთა აგების თეორია.